პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

1973 წ.
№ 38 (4808) 24 თებერვალი, შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## გუშინ ზეიმით აღინიშნა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე

ბრძოლაგადახდილი მეტოქეები.., მ. ზარგარიანის ფოტო.

## სპარტაკიადის დევიზი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დადგენილებაში განსაზღვრულია სპორტის ზამთრის სახეობებში საბჭოთა ქვეყანაში და, საერთოდ, მსოფლიოში უდიდესი შეჯიბრების — სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ჩატარების ვადები. სპარტაკიადის პირველი ეტაპია მასობრივი შეჯიბრებები მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასწავლო დაწესებულებების ჯგუფებში, ბრიგადებში, უბნებზე, ფიზკულტურის კოლექტივებში, სპორტკლუბებში. იგი მოიცავს 1973 და 1974 წლების ზამთრის დამდეგს.

მეორე ეტაპი — რაიონებისა და ქალაქების მასობრივი სპარტაკიადები — მოეწყობა 1974 წლის 1 თებერვლამდე, 5-12 თებერვალს გაიმართება რსფსრ-ს ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სპარტაკიადები.

მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადისა და რუსეთის ფედერაციის ხალხთა სპარტაკიადების ზონალური შეჯიბრებები მოიცავს პერიოდს 20 თებერვლამდე. რსფსრ-ს ხალხთა სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები დამთავრდება 1 მარტისთვის და, ბოლოს, სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ფინალები ჩატარდება სვერდლოვსკსა და ბაკურიანში 6-17 მარტს.

მასობრიობა ზამთრის III სპარტაკიადის დევიზია. მის მთავარ მიზანს წარმოადგენს მშრომელი და მოსწავლე ახალგაზრდების ახალი მილიონების ჩაბმა ფიზკულტურასა და სპორტში. დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ შეჯიბრების მონაწილეთა რაოდენობა პირველ ეტაპზე შეზღუდული არ არის. განზრახულია სპარტაკიადის პროგრამაში აუცილებლად იქნეს ჩართული შეჯიბრებები მშდ კომპლექსში შემავალ ზამთრის სახეობებში ნორმატივების ჩასაბარებლად. არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ ხანდაზმულებიც სასურველი მონაწილეები არიან ზამთრის სპარტაკიადის ტრასებზე და შეჯიბრებები მათთვისაცაა დაგეგმილი. სპარტაკიადის ყველაზე ნორჩი მონაწილენი იქნებიან ფიგურული ციგურაობის წარმომადგენლები: ამ სახეობებში გამოსვლა შეუძლიათ 1961 წელს დაბადებულ ჭაბუკებსა და გოგონებს.

ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს და უწყებათა ფიზკულტურულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი სპარტაკიადის წარმატებით ჩატარებისთვის ყველა ეტაპზე. მათ დახმარება უნდა გაუწიონ ორგანიზაციებს სახლმმართველობებში, მუშათა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში სპორტული მუშაობის გაუმჯობესებაში.

საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს საციგურაოების მოწყობას სტადიონებზე, პარკებში. სპორტულ ნაგებობათა მშენებლობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ მშრომელთა ფართო მასებმა.

ფიზკულტურის კოლექტივებში ჩატარებულ შეჯიბრებათა შედეგების შეჯამებისას ყურადღება მიექცევა იმას, თუ ყოველ დაწესებულებაში მომუშავეთა ან სასწავლებელში მოსწავლეთა საერთო რაოდენობის რა პროცენტი მონაწილეობდა შეჯიბრებებში, რა პროცენტმა ჩააბარა მშდ-ს ნორმატივები და სპორტული თანრიგები ზამთრის სახეობებში.

ასეთივე პრინციპით შეჯამდება სპარტაკიადის შედეგები მოკავშირე რესპუბლიკებში, მოსკოვსა და ლენინგრადში. აქაც მხედველობაში მიიღებენ იმავე მაჩვენებლებს საერთო მოსახლეობის პროცენტთან შეფარდებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა დააწესა სამი პრიზი მოკავშირე რესპუბლიკათა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტ მასობრიობას მიაღწევენ სპარტაკიადის პირველ ეტაპზე, აგრეთვე, 20 პრიზი — სპორტკლუბებისა და ფიზკულტურული კოლექტივებისთვის. (საკდესი).

## დამაჯერებლად

ლენინგრადში დამთავრდა „ა" კლასის პირველი ჯგუფის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო შეჯიბრების პირველი წრე.

ჩვენ უკვე ვწერდით თბილისის „ბურევესტნიკზე", რომელმაც პირველ ოთხ ტურში დიდი წარმატება მოიპოვა. ახლა სიამოვნებით გაცნობებთ, რომ საქართველოს სპორტსმენებმა ლენინგრადის ტურნირის ორი დასკვნითი მატჩიც კარგად ჩაატარეს, თუმცა გუნდის ლიდერი და კაპიტანი ჯ. ცერცვაძე ავადმყოფობის გამო სარბიელზე არ გამოდიოდა.

ბოლოსწინა დღეს თბილისელმა სტუდენტებმა ანგარიშით 32:26 დაამარცხეს ხარკოვის „მეტალისტი", ბოლო დღეს კი ლენინგრადის არმიელებს მოუგეს.

ახლა თბილისის „ბურევესტნიკი" სათავეში უდგას სატურნირო ცხრილს. მას 22 შესაძლებლიდან 19 ქულა აქვს, შემდეგ მოდიან ასკ (ლვოვი) — 18 ქულა, ტირასპოლის გუნდი — 17, „ბოლშევიკი" (ლენინგრადი) — 15, „პოლიტექნიკი" (მინსკი) — 14, „მეტალისტი" (ხარკოვი) — 11. ეს ექვსი გუნდი უკვე აპრილში თბილისში გაითამაშებს უმაღლესი ლიგის ერთადერთ საგზურს და იბრძოლებს II ადგილისთვის, რომელიც უმაღლეს ლიგაში VII ადგილზე გასულ გუნდთან გადასასვლელი მატჩების (სამი თამაში) გამართვის უფლებას იძლევა.

თბილისელმა სტუდენტებმა უაღრესად დამაჯერებლად ჩაატარეს პირველი წრის დასკვნითი მატჩები. მთელი გუნდი შეთანხმებულად, მონდომებით თამაშობდა, კარგად იყენებდა ახალ წესს 45 წამის თაობაზე (მოიერიშე გუნდმა 45 წამის განმავლობაში უნდა ტყორცნოს ბურთი კარში). გავიხსენოთ თუნდაც მატჩი ტირასპოლელებთან, რომელიც თბილისელებმა არა მარტო იხსნეს (მეორე ტაიმის შუა მონაკვეთზე აგებდნენ — 10:20), არამედ მოიგეს კიდეც. ყველა მოთამაშე დიდ ქებას იმსახურებს, მაგრამ მაინც უნდა გამოვყოთ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ა. ამპილოგოვი (ტანად იგი 205 სანტიმეტრია).

გვჯერა, რომ „ბურევესტნიკი" შეინარჩუნებს სპორტულ ფორმას და საბრძოლო აზარტს თბილისის მატჩებისთვის. ამაში მისთვის ალბათ კარგი დახმარება იქნება ორი საკონტროლო მატჩი უნგრეთის ხელბურთელებთან 11 და 14 მარტს თბილისში.

**ლ. ფალავანდიშვილი,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

## პირველი მერცხლები

ამას წინათ ლვოვში გაიმართა „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს იუნიორთა პირადგუნდური პირველობა ბატუტზე ხტომაში. აღსანიშნავია, რომ მსგავსი შეჯიბრება პირველად მოეწყო. ასპარეზობაში თავი გამოიჩინეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. ჭაბუკთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ზ. ომხერელი, ს. ანდრიასიანი და ს. მარქარიანი, საზოგადოების პირველი ჩემპიონი გახდა.

გოგონათა ნაკრებმა (ც. ბუძიშვილი და ვ. რემეზოვა) III ადგილი დაისაკუთრა.

პირად ტურნირში ჩინებულად გამოვიდა ანდრიასიანი. შეჯიბრებაში, რომელშიც 35 კაცი მონაწილეობდა, მან I ადგილი არავის დაუთმო. მარქარიანმა III ადგილი დაიკავა.

დაკომპლექტდა საზოგადოების ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში ზ. ომხერელი და ს. ანდრიასიანიც შეიყვანეს. ისინი მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის ჩემპიონატში, რომელიც 9 მარტს დაიწყება ოდესაში.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა წარმატებაში დიდი დამსახურება მიუძღვის ახალგაზრდა მწვრთნელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, სპორტის ოსტატ თ. ხუდოევს.

**ტ. ვაჟარაძე.**

## წარმატება პირველ სტუდენტურ ჩემპიონატში

**ჰანოვერი, 22 თებერვალი.** მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატები საუკეთესონი აღმოჩნდნენ სტუდენტთა აქ გამართულ პირველი ოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატის ვაჟთა გუნდურ ტურნირში. გადამწყვეტ მატჩში მათ ანგარიშით 5:2 დაამარცხეს იუგოსლაველები, რომელთა შორის იყვნენ ცნობილი მოთამაშეები მ. კარაკაშევიჩი და ზ. ჩორდაში.

პირველი ოთხი ორთაბრძოლის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო, მერე კი მოსკოველმა ს. გომოზკოვმა, ბათუმელმა ს. სარხოიანმა და ლვოველმა ა. სტროკატოვმა ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგეს.

ბრინჯაოს მედლები დასავლეთგერმანელებს ხვდათ, რომლებმაც ჩეხოსლოვაკიის გუნდს აჯობეს — 5:3.

სსრ კავშირის სტუდენტ ქალთა ნაკრები საბოლოოდ III ადგილზე გავიდა — ბრინჯაოსთვის ბრძოლაში რუმინეთის წარმომადგენლებს სძლია — 3:1.

ჩემპიონის წოდება გფრ-ის ნაკრებს ხვდა, რომელმაც მწვავე ბრძოლაში აჯობა ჩეხოსლოვაკიის გუნდს — 3:2.

გათამაშდება პირადი პირველობაც.

## „უნივერსიადა-73"

УНИВЕРСИАДА МОСКВА-1973

### ბავშვები უფასოდ ნახავენ

მოსკოვი 1973 წლის საზაფხულო უნივერსიადისთვის ემზადება. საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფისუ) აღმასკომმა ჰანოვერში (გფრ) მოისმინა ინფორმაცია ასპარეზობისთვის მზადებაზე. 21 თებერვალს ჰანოვერიდან მოსკოვში დაბრუნდა უნივერსიადის საორგანიზაციო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ნ. კულიკოვი. მან საკდესის კორესპონდენტს უთხრა:

— აღმასკომის წევრებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ჩვენი მოხსენება. მოსკოვის უნივერსიადას ყველაზე მეტი მონაწილე ეყოლება — სპორტსმენიცა და ქვეყანაც. ბევრი რამე გვკითხეს: სპორტული ბაზების მზადყოფნაზე, მონაწილეთა დაბინავებაზე, ინფორმაციის საშუალებებზე, ტრანსპორტზე. საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობა მოიწონეს. ეს მოწონება ეყრდნობა ფისუ-ს საინსპექციო კომისიის დასკვნას. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ პ. მაიერი (გფრ) და ე. სკარპიელო (იტალია), რომლებიც ამას წინათ მოსკოვში იყვნენ.

საორგანიზაციო კომიტეტმა, როგორც კულიკოვმა თქვა, უკვე 47 ქვეყნის სტუდენტური ორგანიზაციების განაცხადები მიიღო. თამაშების სარბიელზე გამოვა ოთხი ათასამდე სპორტსმენი, მაგრამ განაცხადებს კომიტეტი ალბათ კიდევ მიიღებს.

• • •

მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამრეწველო საწარმოების ახალგაზრდობას განზრახული აქვს შეფობა გაუწიოს უნივერსიადის მონაწილეებს. ასპარეზობა 25 აგვისტოს დაიწყება. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მოსკოვში გაეცნობიან საბჭოთა ხელოვნებას, ახალგაზრდობის თვითმოქმედებას.

— მომავალ საშეფო მუშაობაზე ლაპარაკი იყო „უნივერსიადა-73"-ის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე, რომელიც 22 თებერვალს ჩატარდა პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მდივნის ვ. ბოგატიკოვის თავმჯდომარეობით.

სხდომაზე ითქვა, რომ უნივერსიტეტი მზადაა თამაშების მონაწილეთა მომსახურებისთვის. ამას გარდა, მოისმინეს შეჯიბრებისთვის აუზების, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის, საწყლოსნო სპორტის სასახლის მზადების საკითხი.

საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა განიხილეს მოსაწვევი და შესასვლელი ბილეთების, მომსახურეთა საშვის ესკიზები. რამდენიმე ათეული ათასი ბილეთი მოსწავლეებისთვის გამოიყოფა. ბავშვები შეჯიბრებებს უფასოდ ნახავენ.

საკესი მოგვითხრობს



## სსრ კავშირის ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

# ორი მატჩი

გაიმართა მორიგი ორი მატჩი.

ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი" და გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი ცსკა. ძველი მეტოქეების პრინციპული და დაძაბული ბრძოლა არმიელმა კალათბურთელებმა მოიგეს. უპირატესობას, რომელიც გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა, ცსკა-მ პირველ ტაიმში მიაღწია — 44:37.

ბრძოლა შესვენების შემდეგაც მძაფრი იყო. ლენინგრადის „სპარტაკმა" მეორე ტაიმი ფრედ დაამთავრა. იყო მომენტები, როცა მასპინძლები მრისხანე მეტოქეს მხოლოდ ქულით ჩამორჩებოდნენ. 85:78 ცსკა-მ მეთოთხმეტე ქულა აიღო და კიდევ უფრო განიმტკიცა სალიდერო მდგომარეობა.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ტარტუს „კალევისა" და კაუნასის „ჟალგირისის" ორთაბრძოლა ტალინში. მოულოდნელი აქ ის იყო, რომ ტურნირის ერთ-ერთმა ლიდერმა ქულა აუტსაიდერთან მატჩში დაკარგა, თორემ ამ ორი კოლექტივის თამაში მეტად საინტერესო და თავისებურად დრამატული. უკვე პირველივე ნახევარში ცხადი გახდა, რომ „კალევი" ამჯერად ქულას იოლად არ დათმობდა — 41:41.

შესვენების შემდეგ ესტონელი კალათბურთელები მწვავედ და მონდომებით თამაშობდნენ და დამსახურებული წარმატებაც იზეიმეს — 77:72.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 16 | 14 | 2 | 1409—1169 | 14 |
| „ჟალგირ." | 16 | 12 | 4 | 1224—1133 | 12 |
| „სპარტ." | 15 | 11 | 4 | 1186—1109 | 11 |
| „დინამო" (თბილისი) | 15 | 10 | 5 | 1121—1098 | 10 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 15 | 8 | 7 | 1088—1078 | 8 |
| „სტროიტ." | 14 | 7 | 7 | 999—1002 | 7 |
| ასკ | 15 | 4 | 11 | 947—1023 | 4 |
| „კალევი" | 15 | 4 | 11 | 977—1062 | 4 |
| რტი | 16 | 3 | 13 | 1134—1262 | 3 |
| „ავტომ." | 13 | 2 | 11 | 887—1036 | 2 |

# ერთადერთი დაუმარცხებელი...

ტალინში გრძელდება ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი მატჩები.

კვლავ წარმატებით თამაშობს რიგის ტტტ. მეოთხე კალენდარულ დღეს მან დიდი ანგარიშით (96:51) მოუგო კაუნასის „პოლიტექნიკას". ტტტ წლევანდელი ჩემპიონატის ერთადერთი დაუმარცხებელი მონაწილეა და, ცხადია, სატურნირო ცხრილში 1 ადგილზეა. მას 9 ქულა აქვს.

მეტად საჭირო ქულა აიღო ლენინგრადის „სპარტაკმაც". მართალია, ალმა-ათის „უნივერსიტეტის" სახით მას ძლიერი მეტოქე არ ჰყავდა, მაგრამ ამ ქულას ნევისპირელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ: „სპარტაკი" უშუალოდ ემიჯნება ლიდერს და ყოველმა დანაკარგმა შეიძლოა საეჭვო გახადოს საპრიზო ადგილზე ბისი გასვლა. მით უმეტეს, რომ ლენინგრადელებს ზურგს უკან „ურალმაშის" სუნთქვა ესმით... „სპარტაკმა" გაიმარჯვა ანგარიშით 78:51 და უწინდელი პოზიცია შეინარჩუნა. ლენინგრადელებს 8 ქულა აქვთ.

ამდენივე ქულა დააგროვა სვერდლოვსკის „ურალმაშმა", რომელმაც დაამარცხა ტურის მასპინძლები—ტარტუს უნივერსიტეტის სპორტული კლუბის წარმომადგენლები — 61:51.

სამაგიეროდ, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა მოსკოვის ოლქის „სპარტაკს". მან ვერ გაუძლო დაწინაურებულებთან ბრძოლის სიმძაფრეს და მოულოდნელად წააგო ლენინგრადის „ბურევესტნიკთან" — 63:64. ვინ იცის, რა დროს დაჭირდება ეს ქულა წინა ჩემპიონატის პრიზიორს?

# ახალი ამბები-73

● მინსკი, 22 თებერვალი. ადგილობრივი სპორტის სასახლის პრიზზე დღეს აქ დაწყებულ საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირში მონაწილეობენ სსრ კავშირის, ბირმის, ერაყის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის მოკრივეები. შეჯიბრება გახსნეს მჩატე წონის წარმომადგენლებმა. პირველ ორთაბრძოლაში საბჭოთა სპორტსმენმა დ. ბელოზერცევმა ორჯერ ჩააგდო ნოკდაუნში ფინელი ს. ელინგი, რის გამოც არბიტრმა შეხვედრა შეწყვიტა. მასპინძელთა მეორე წარმომადგენელმა ი. ვიალჩენკოვმა ქულებით მოუგო რუმინელ ა. დობეშს. ფინალური შეხვედრები 27 თებერვალს გაიმართება.

● ლენინაბადი, 22 თებერვალი. აქ დაიწყო სსრ კავშირის ველოსიპედისტთა პირველი ზამთრის ჩემპიონატი ტრეკზე. მონაწილეთა შორის არიან გუნდურ რბოლაში ოლიმპიური ჩემპიონები ვ. ლიხაჩოვი (გორკი), გ. კომნატოვი (ომსკი), ვ. იარდი (ჩებოქსარი) და სხვა ცნობილი სპორტსმენები. დღეს მონაწილეები ასპარეზობდნენ [illegible] გამოთიშვით რბოლასა და სხვ.

● სტრემსუნდი, 22 თებერვალი. შვეციის ეს პატარა ქალაქი, რომელსაც მოციგურავე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის პატივი ხვდა წილად, მომავალი შეჯიბრებისთვის საუცხოოდ მოემზადა: ყინული ძალიან „სწრაფია". ასეთია ჩემპიონატის მონაწილე თერთმეტივე სახელმწიფოს წარმომადგენელთა ერთსულოვანი აზრი. დღეს მშვენიერი მზიანი დარი, ნიავიც კი არ იძვრის. თერმომეტრი მინუს 13 გრადუსს უჩვენებს. „თუ შაბათსა და კვირასაც ასეთივე ამინდი იქნა, კაცი უკეთესს ვერც ინატრებს, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს საბჭოთა გუნდის ხელმძღვანელმა დ. პროხოროვმა. — ჩვენი სპორტსმენები საბრძოლოდ არიან განწყობილი და თავს კარგად გრძნობენ. გუნდი ასეთი შემადგენლობით გამოვა: ნ. სტატკევიჩი, ლ. ტავრულინა, ლ. კაუნისტე, ტ. შელეხოვა და გ. სტეპანსკაია. საბრძოლო სულისკვეთების ნაკლებობას არც ჩვენი მეტოქეები უჩივიან, ასე რომ, პირველობა ძალიან საინტერესო იქნება".

# მებრძოლთა რიგები დაიცხრილა

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, მიმდინარეობს ჭადრაკში საქართველოს თასების პირველი გათამაშება, რომელშიც სტარტი 50 მოჭადრაკემ (32 ვაჟი, 18 ქალი) აიღო. ტურნირები ოლიმპიური სისტემით (წაგებული ბრძოლას ეთიშება) ტარდება. მონაწილეები მინი-მატჩებს (ორ პარტიას) თამაშობენ ერთმანეთში. ყაიმის შემთხვევაში მეტოქენი დამატებით კიდევ ორ, მაგრამ ელვისებურ პარტიას ითამაშებენ (თითოეულ მეტოქეს მთელი პარტიისთვის 5 წუთი ეძლევა).

ვაჟებმა ბრძოლა მეთექვსმეტედფინალიდან დაიწყეს. გთავაზობთ ამ შეხვედრების შედეგებს: მ. არჩვაძე (სამტრედია) — გ. მენაბდე (ქუთაისი) 0,5:1,5, თ. სულაშვილი — ვ. ვეფხვიშვილი 0,5:1,5, ზ. ტოგონიძე (ცხაკაია) — დ. გედევანიშვილი 0,5:1,5, გ. კაპანაძე (გორი) — ვ. კაბაჯიანი 0:2, შ. ჭრელაშვილი — ჯ. ბერაძე (წყალტუბო) 0:2, კ. ჩიგოგიძე — მ. ნიქაბაძე (ქუთაისი) 1,5:0,5, ვ. ვოდოლაზკო (ბათუმი) — ა. გიორგაძე (სოხუმი) 0:2, ვ. სიფრაშვილი (სიღნაღი) — ა. ბუსლაევი 0:2, მ. ჭიპაშვილი — ს. ტოპ-ბაშიანი (ბათუმი) 1,5:0,5. გ. მუკნიაშვილი (გორი) — ნ. შოგირაძე (ზუგდიდი) 1:3 (ძირითადი მატჩის ანგარიში 1:1 იყო. ზუგდიდელმა ორივე ელვისებური პარტია მოიგო), ლ. კოტლიარევსკი — ა. კლიმჩუკი (ქუთაისი) 0,5:1,5, ა. ტუზოვსკი (სოხუმი) — ო. ალხანიშვილი 2:0, ა. ბოკუჩავა — ა. ხუციშვილი 3:1, ზ. ლუჭაშვილი — ი. მანაშეროვი (სურამი) 3:1, ი. ეფიმოვი — ე. აფრიდონიძე 1:3, ს. კიკილაშვილი — ნ. ლომაია 0,5:1,5.

ამრიგად, მერვედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: მენაბდე — ბოკუჩავა, ვეფხვიშვილი — გედევანიშვილი, კაბაჯიანი — მანაშეროვი, ბერაძე — ჩიგოგიძე, გიორგაძე — ბუსლაევი, ჭიპაშვილი — შოგირაძე, კლიმჩუკი — აფრიდონიძე და ტუზოვსკი — ლომაია.

ქალთა ტურნირში მხოლოდ ორი მატჩი მოეწყო: ლ. ბელოზიოროვა — ხ. გურგენიძე (რუსთავი) 2:0 და მ. ხანთაძე — ნ. ხუბულური 2:0. ამ შეხვედრებით დაკომპლექტდა მერვედფინალის ყველა წყვილი.

**თ. ნინოშვილი.**

## [illegible]

### ზესტაფონი

პიონერ მოჭადრაკეთა ბლიც-ტურნირში 10 მოსწავლე მონაწილეობდა. ყველას აჯობა ზ. კოპაძემ (მე-2 საშუალო სკოლა) — 9 ქულა. II-IV ადგილები გაიყვეს გ. ჟომლაძემ (1-ლი საშუალო სკოლა), ძმებმა ზ. და მ. ბიწაძეებმა — 8-8 ქულა.

**ა. განუგრავა.**

# სტარტი ჰავანაში

ჰავანაში სტარტი აიღო გენიალური კუბელი მოჭადრაკის ხ. კაპაბლანკას ხსოვნისადმი მიძღვნილმა ტრადიციულმა X საერთაშორისო ტურნირმა. ბრძოლაში ჩაებნენ: დიდოსტატები ვ. სმისლოვი, ვ. სავონი (ორივე—სსრ კავშირი), ვ. ულმანი (გდრ), მ. დამიანოვიჩი (იუგოსლავია), ი. დონერი (ჰოლანდია), საერთაშორისო ოსტატები გ. კუზმინი (სსრ კავშირი), ე. პაოლი (იტალია), ე. კობო, ს. გარსია (ორივე — კუბა), ო. როდრიგესი (პერუ), ხ. დეგრეიფი (კოლუმბია), დ. მაროვიჩი (იუგოსლავია), ლ. სპასოვი (ბულგარეთი), დ. ლევი (შოტლანდია), ოსტატები პ. პეევი (ბულგარეთი), ხ. ლებრედო, ხ. დიასი, ხ. ბოუდი, ნ. პინალი, ა. ბარეროსი, გ. გარსია (ყველა — კუბა), ი. ფარაგო (უნგრეთი).

I ტურში სმისლოვმა სძლია პაოლის, ულმანმა — სავონს, დეგრეიფმა — დამიანოვიჩს, დონერმა — ლებრედოს, ფარაგომ — ბოუდს, პინალმა — ბარეროსს, როდრიგესმა — დიასს. ყაიმით დამთავრდა კუზმინ — ს. გარსიას, სპასოვ — მაროვიჩისა და კობო — გ. გარსიას პარტიები.

# დაწინაურდა გელერი

ბუდაპეშტში გრძელდება უნგრეთის სატახტო ქალაქის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი.

8 ტურის შემდეგ დაწინაურდა საბჭოთა დიდოსტატი ე. გელერი — 6 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ახალგაზრდა საბჭოთა დიდოსტატი რ. ვაგანიანი.

ლიდერებს კვალში ჩაუდგნენ დიდოსტატები ლ. საბო (უნგრეთი), ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) და ა. კარპოვი (სსრ კავშირი) — 5-5 ქულა.

# ლიდერთა ტრიუმვირატი

ესტონეთის დედაქალაქში მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის „ტალინი-73"-ის II ტურში შესანიშნავად ითამაშა პ. კერესმა, რომელმაც ფინელ ჰ. ვესტერინენს მოუგო. სსრ კავშირის ჩემპიონს მ. ტალსაც წარმატება ხვდა. მან მეორედ დაამარცხა ამერიკელი ოსტატი ე. სეიდი. ქულა მოიპოვა უ. ანდერსონმაც (შვეცია), რომელმაც ი. პშიბლს (ჩეხოსლოვაკია) სძლია. ბ. სპასკი და ლ. პოლუგაევსკი, რომლებიც ერთმანეთთან თამაშობდნენ, ყაიმს დასჯერდნენ. ყაიმით დასრულდა, აგრეთვე, ჰ. პფლეგერ (გფრ) — ი. ნეისა და ი. ბალაშოვ (ორივე — სსრ კავშირი) — ი. ტიმანის (ჰოლანდია) შეხვედრები. დაუმთავრებელი დარჩა ორი პარტია: დ. ბრონშტეინს უპირატესობა აქვს ხ. კიარნერთან, ხოლო ბ. რიტოვს (სამივე — სსრ კავშირი) — ლ. პოპოვთან (ბულგარეთი).

III ტურში სპასკიმ მოუგო პშიბლს, ბალაშოვმა — ანდერსონს, პოლუგაევსკიმ — ბრონშტეინს, სეიდმა — კიარნერს. ყაიმზე შეთანხმდნენ პოპოვ — პფლეგერი და ტიმან — კერესი. ორი პარტია გადაიდო.

3 ტურის შემდეგ ლიდერობენ სპასკი, პოლუგაევსკი, ბალაშოვი — 2-2 ქულა. ტალსა და კერესს 1,5-1,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ.



ამას წინათ რუსთავის მიდამოებში გაიმართა საქართველოს მოტოკროსის პირად-გუნდური პირველობა.

სურათზე: „350-იანების" კლასში გამარჯვებული, თბილისელი სპორტის ოსტატი ა. კლდიაშვილი ასპარეზობისას.

რ. გაბრიჩიძის ფოტო.

## ფეხბურთი

# ისევ პენალტები!

**ლასლიძე, 22 თებერვალი.** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა დღეს აქ ამხანაგური საკონტროლო მატჩი გამართეს ალმა-ათის „კაირატთან".

მატჩის ძირითად დროში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო ბურთის გატანა — 0:0. დაინიშნა პენალტების სერია, სადაც უფრო ზუსტი ალმაათელები აღმოჩნდნენ — 4:3.

„დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გოგია, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ჩელიძე, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა თბილისელებმა მოიგეს — 1:0.

# სამი თაობის ფეხბურთელი

საფეხბურთო სამყარო კარგად იცნობს ავთანდილ ღოღობერიძეს. ქართული ფეხბურთის დიდი გამარჯვებები, მისი წინსვლა მჭიდროდაა დაკავშირებული ამ უმაღლესი კლასის, უნიკალური, განუმეორებელი ფეხბურთელის ბრწყინვალე თამაშთან.

ა. ღოღობერიძე ერთადერთია თბილისის „დინამოს" ყველა დროის მოთამაშეთაგან, რომელმაც, როგორც ფეხბურთელმა, 18 წელი გაატარა მწვანე მინდორზე. შესანიშნავად თამაშობდა იგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ჭაბუკი, როცა პირველად ჩადგა დინამოელთა რიგებში და თავისი საქმის დიდოსტატი იყო მაშინაც, როცა 40 წელს მიღწეული ამთავრებდა ხანგრძლივ სპორტულ კარიერას...

თბილისის „დინამოს" მოთამაშის მაისური მან ჩაიცვა მაშინ, როცა გუნდში გამოდიოდნენ პირველი თაობის ფეხბურთელები ბ. პაიჭაძე, გ. ჯეჯელავა, მ. ბერძენიშვილი, გ. გაგუა, ბ. ფროლოვი, ა. კიკნაძე, ვ. პანიუკოვი...

შემდეგ, 50-ანი წლების დამდეგს, როცა ა. ღოღობერიძემ სპორტული ფორმის ზენიტს მიაღწია, მის მხარდამხარ გამოდიოდნენ გ. ანთაძე, ნ. ძიაპშიპა, ვ. მარღანია, ა. ზაზროევი, ი. სარჯველაძე, ა. ჭკუასელი, ს. ჯეჯელავა, ზ. კალოევი, ვ. ელოშვილი და სხვ.

ქართველ ფეხბურთელთა მესამე თაობა ა. ღოღობერიძემ ჩაიბარა თვითვე, უკვე როგორც გამოცდილმა, მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილმა ვეტერანმა, რომელიც მათი პარტნიორიც გახლდათ და მასწავლებელიც. ესენი იყვნენ შ. იამანიძე, მ. მესხი, გ. ჩოხელი, ს. კოტრიკაძე, ვ. ბარქაია და სხვ.

საბჭოთა ფეხბურთის ყველაზე შედეგიან ფეხბურთელთა სიაში ა. ღოღობერიძე ერთ-ერთი პირველია 127 გატანილი გოლით, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი უმთავრესად შუამარბად და ნახევარმცველად გამოდიოდა, ეს 127 გოლი რეკორდია სამამულო ფეხბურთში. იშვიათია ფეხბურთელი, რომ ასეთი მრავალმხრივი მონაცემები გამოეჩინოს მწვანე მინდორზე.

არაერთხელ დაუცავს ა. ღოღობერიძეს საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსება ოფიციალურ თუ ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრებში.

ა. ღოღობერიძე ახლა 50 წლისაა. მართალია, ავადმყოფობის გამო იგი აქტიურად ვერ მონაწილეობს რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრებაში, მაგრამ ისიც, რაც მას უწინ აქვს გაკეთებული, ფასდაუდებელი სამსახურია ეროვნული სპორტისთვის. ფეხბურთის მოყვარულები, მთელი ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა დიდი ხნის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უსურვებენ ძვირფას ადამიანს — ავთანდილ ღოღობერიძეს.

## ჩვენი მეგობარი ბასა

◆

**ბორის პაიჭაძე,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი**

◆

მე საპორტო ქალაქში ვარ გაზრდილი, ზღვისპირას, და სიტყვა „კაპიტანს" ჩემთვის მუდამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მახსოვს, ბავშვები მონუსხულებით შევცქეროდით პორტში ჩამომდგარ ვეება გემებს, საიდანაც დინჯად მოემართებოდნენ კიბეზე მეზღვაურები. მათ შორის ყველაზე წარმოსადეგნი, ყველაზე ღირსეულნი, ყველაზე დარბაისელნი კაპიტნები იყვნენ.

გავიდა წლები და „კაპიტანი" აღარ მოსცილებია მთელ ჩემს ცხოვრებას. მე მახსოვს ბრწყინვალე საფეხბურთო კაპიტნები — შოთა შავგულიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე...

მახსოვს, როცა ჯერ სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელი ფეხბურთელი ვიყავი, 1936 წელს, სტალინგრადში სსრ კავშირის თასზე ვეთამაშებოდით „ტრაქტორს". მწვრთნელისგან მკაცრი მითითება გვქონდა მიღებული — გვეთამაშა მხოლოდ კოლექტიურად, ყოველგვარი „ფოკუსებისა" და დრიბლინგის გარეშე. ვერ ვითამაშე. ვერც ჩემი მეგობრები იყვნენ იმ დღეს მთლად წესრიგში. ერთი სიტყვით, — ვაგებდით ანგარიშით 0:1.

ერთ-ერთ მომენტში უკნიდან მომესმა შოთა შავგულიძის მრისხანე ხმა:

— ბორია, ითამაშე თუ არა ბოლოს და ბოლოს! — შემდეგ გარკვევით და დამაჯერებლად დაუმატა: — ითამაშე, როგორც იცი, შენებურად.

ვცადე ერთხელ, ორჯერ. გამოვიდა. მეგობრებიც ამყვნენ და საბოლოოდ ის თამაში მოვიგეთ — 3:1.

ამ ეპიზოდში გამოჩნდა გუნდის კაპიტნის გამოცდილება და გამჭრიახი თვალი.

ასეთივე ღირსეული, ავტორიტეტიანი, მცოდნე და გამოცდილი კაპიტანი იყო თბილისის „დინამოს" ნამდვილი მეთაური, მთელი კოლექტივის სული და გული, ქართული ფეხბურთის ნამდვილი ბერმუხა, უბრწყინვალესი ფეხბურთელი და დიდი სპორტსმენი ავთანდილ ღოღობერიძე, ბასა, როგორც შინაურულად ვეძახით. იგი მუდამ მხარში ედგა გუნდის ხელმძღვანელობას, ამავე დროს, თვითონ წამყვანი მოთამაშე, ცენტრალური ფიგურა მინდორზე, სწორუპოვარი პარტნიორი და მხარის ამბმელი იყო პარტნიორებისთვისაც. ახალგაზრდა ფეხბურთელებს არ სჭირდებოდათ ლექციების კითხვა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს გუნდის კაპიტანი, რა თვისებებით დაჯილდოებული, რა უნარით აღკაზმული. შესანიშნავი, თვალსაჩინო მაგალითი მუდამ თვალწინ ჰყავდათ — ავთანდილ ღოღობერიძე.

ღოღობერიძე თბილისის „დინამოში" მოვიდა 1943 წელს, მაშინ, როცა იქ ეგრეთ წოდებული პირველი თაობის წარმომადგენლები თამაშობდნენ. იგი სულით ხორცამდე ჩვენი, სამხრეთული, ქართული ფეხბურთის ტიპიური წარმომადგენელი იყო. ბურთს ფლობდა ვირტუოზულად, არ არსებობდა ილეთი ან ელემენტი, რომელიც მას სრულყოფამდე არ ჰქონოდა დახვეწილი. ამავე დროს განცვიფრებას იწვევდა მისი წარმოუდგენელი შრომისმოყვარეობა, დიდ დატვირთვათა გადატანის, თითქმის განუსაზღვრელ დიაპაზონზე მოქმედების უნარი.

ავთანდილ ღოღობერიძე 1951 წელს აირჩიეს თბილისის „დინამოს" კაპიტნად. ფაქტიურად, ეს არც იყო არჩევანი, ვინაიდან არც ერთ მოთამაშეს აზრად არ მოუვიდოდა სხვა კაპიტანზე ეფიქრა.

ღოღობერიძის სიტყვა კანონი იყო ყველასთვის მინდორზეც და, საერთოდ, საფეხბურთო ცხოვრებაშიც. მას მუდამ ჰქონდა თავისი ახალგაზრდა მეგობრებისთვის ტკბილი სიტყვა, გონივრული რჩევა-დარიგება, საქმიანი შენიშვნა, იცოდა დახმარება. ასე იყო წვრთნის დროსაც. ვაი მას, ვინც წაიზარმაცებდა და სასხვათაშორისოდ მოიქცეოდა მინდორზე. კაპიტანს ეს არ გამოეპარებოდა... მისი შენიშვნა მუდამ სამართლიანი იყო, ამიტომ მოთამაშეებიც უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ თავიანთ ხელმძღვანელს.

ასე იყო მერეც, როცა ავთანდილ ღოღობერიძე „დინამოს" უფროს მწვრთნელად დაინიშნა, როცა გუნდის უფროსი იყო. მკაცრი მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და ფეხბურთელებისადმი, მოვალეობის დიდი გრძნობა, საქმისადმი უაღრესად კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, მისი მოქალაქეობრივი პრინციპები ყველასთვის ცნობილი იყო. ამავე დროს ახალგაზრდებს არ ჰყავდათ სხვა ისეთი გულისხმიერი და მეგობრული მრჩეველი, როგორიც ღოღობერიძე.

თითქმის ორი ათეული წელი გაატარა თბილისის „დინამოში" ავთანდილ ღოღობერიძემ, ხოლო შემდეგ მის ხელმძღვანელადაც მუშაობდა. მან მთელი თავისი ცოდნა, უნარი და შეუდარებელი ტალანტი ქართული ფეხბურთის დიდებას მოახმარა. ახლა ეს ბრწყინვალე ფეხბურთელი და ღვაწლმოსილი ადამიანი, ჯერ კიდევ 50 წლის ვაჟკაცი სარეცელსაა მიჯაჭვული მძიმე ტრავმის გამო, მაგრამ ამ მდგომარეობაშიც კი მისი ფიქრი ისევ იქითაა მიპყრობილი — ახალგაზრდებისკენ, ფეხბურთის მწვანე მინდვრისკენ, რომელსაც მან მიუძღვნა მთელი თავისი ცხოვრება, კაცობა, სადაც მან ფასდაუდებელი ამაგი გაუწია ქართულ ფეხბურთს და საქვეყნოდ გაუთქვა სახელი.

### მოგვილოცავს!

დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით, სამამულო ფეხბურთის განვითარებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა სპორტის დამსახურებული ოსტატი ავთანდილ ნიკოლოზის ძე ღოღობერიძე.

## პირველი შეხვედრა...

გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი ა. ღოღობერიძე 50 წლისა შესრულდა. ამასთან დაკავშირებით ჩვენმა რედაქციამ გადაწყვიტა მცირეოდენი მოგონებისთვის ადგილი დაეთმო ძველი და ახალი თაობების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც სახელგანთქმულ ვეტერანთან ერთად გამოდიოდნენ მწვანე მინდორზე. მოგონებებს რა გამოლევს! მაგრამ ჩვენ ასე ვარჩიეთ საკითხის დასმა: პირველი შეხვედრა.

მაშ ასე — პირველი შეხვედრა ავთანდილ ღოღობერიძესთან..,

**ალექსანდრე ელიავა,**
**თბილისის „დინამოს" ვეტერანი**

გუშინდელივით მახსოვს ის დღე: 1942 წელი იყო. ბათუმის დინამოელები ვვარჯიშობდით ჩვენს სტადიონზე, ზღვის პირას. წვრთნა მოვათავეთ და თავდამსხმელები დავრჩით მეკარესთან ერთად კარში დარტყმაში სავარჯიშოდ. კარის უკან ვიღაც ჯარისკაცი იდგა, გამხდარი, შავგვრემანი. ქამარი პატრონტაშივით შემორტყა მხარზე, კირზის უხეში ჩექმები ეცვა. როგორც კი ავაცდენდით ბურთს მიზანს, უკან გვაწვდიდა. ეს ძნელი პროცედურა არაა, ყველამ კარგად იცის, მაგრამ ჯარისკაცის ყოველი მოძრაობა ნათლად მეტყველებდა, რომ ფეხბურთი მისთვის უცხო ხილი არ იყო. მერე კი, როცა ერთი-ორჯერ მკერდით გააჩერა ბურთი — პირი დავაღეთ განცვიფრებისგან. მოვიხმე ჩემთან:

— რა გქვია, ბიჭო?

— ბასა.

— ბურთს თამაშობ?

— კი. სოხუმელი ვარ.

გამოვკითხე უფრო დაწვრილებით... აღმოჩნდა, მიშა თურქიას მოწაფე ყოფილა, საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებშიც უთამაშია.

მივიწვიეთ ჯერ სავარჯიშოდ, მერე გუნდში ჩავრიცხეთ. უნდა გენახათ, როგორ თამაშობდა! პირველივე მატჩში ექვსი ბურთი გაიტანა, არც მერე უკლებდა „ნორმას".

ერთ-ერთ შეხვედრაში ბასამ ლავიწის ძვალი ჩაიმტვრია და ჰოსპიტალში დააწვინეს. სანამ გამოჯანმრთელდებოდა, მისი ნაწილი ფრონტზე გაგზავნეს, ღოღობერიძე კი შინსახკომის ჯარში ჩარიცხეს, ხოლო მერე თბილისის „დინამოში" გადაიყვანეს.

შემდგომი ამბები ყველამ კარგად იცით, თუ როგორი ექსტრა-კლასის ფეხბურთელი დადგა ღოღობერიძე, მაგრამ გამხდარი, გრუზათმიანი, კერკეტი ჯარისკაცი ბასა, კარის უკან მკერდით რომ აჩერებდა ბურთებს, არასდროს დამავიწყდება.

**გაიოზ ჯეჯელავა,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი**

პირველი კონკრეტული შეხვედრა ავთანდილ ღოღობერიძესთან, მართალი გითხრათ, არ მახსოვს. მას მერე დიდი დრო გავიდა და არ მინდა, ვთქვათ, მეორე შეხვედრა პირველად გავასაღო. მაგრამ პირველ შთაბეჭდილებას კი ზუსტად მოგახსენებთ:

გვითხრეს, ჩვენს გუნდში ახალი თავდამსხმელი მიიღეს, ძალიან ნიჭიერი, დიდი მონაცემების ფეხბურთელიაო. გავსინჯეთ თამაშში, უკეთესს ვერც ინატრებდა კაცი. მაშინ თბილისის „დინამოში" მარცხენა შუამარბად თამაშობდა გამოცდილი, ენერგიული, ძალიან სასარგებლო ფეხბურთელი ვიქტორ ბერეჟნოი. მაგრამ ეს ადგილი ზედგამოჭრილი იყო ღოღობერიძისთვის. გუნდის ხელმძღვანელობა იძულებული შეიქნა მთელი გადატრიალება მოეხდინა თავდასხმაში, რათა ბასას ნიჭი და მდიდარი შესაძლებლობანი მაქსიმალურად გამოეყენებინათ. ბერეჟნოი მარჯვენა შუამარბად გადაიყვანეს, პანიუკოვი — მარცხენა გარემარბად, ბერძენიშვილი — ნახევარმცველად.

ეს რეკონსტრუქცია მოხდა ღოღობერიძის გულისთვის, ვინაიდან თავიდანვე ცხადი შეიქნა მწვრთნელებისთვისაც და მოთამაშეებისთვისაც, რომ ბასა არა მარტო ძირითადი მოთამაშე გახდებოდა კოლექტივისთვის, არამედ მისი ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაც. ასე მხოლოდ მაშინ აკეთებენ უმაღლესი ლიგის გუნდში, როცა მის რიგებში მოდის უნიკალური ტალანტი, განსაკუთრებული ხიბლიერის მოთამაშე. ღოღობერიძე კი სწორედ ასეთი იყო.

**მიხეილ მესხი,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი**

პირველი შეხვედრა? როგორ არ მახსოვს! ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი, როცა „დინამოში" მიმიღეს და პირველმა თამაშმა ლენინგრადის „ზენიტთან" მომიწია.

ადვილი წარმოსადგენია, რა მღელვარება შეიპყრობს 17 წლის ფეხბურთელს, როცა სსრ კავშირის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩს ანდობენ თბილისის „დინამოში" და თანაც უშუალო მეტოქედ ეყოლება ისეთი გამოცდილი მოთამაშე, როგორიც იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი იური ვოინოვი. ღამე ცუდად მეძინა, ათასგვარი ფიქრი მტრიალებდა, ვნერვიულობდი... პირველი, ვინც მეგობრულად მოვიდა, ხელი გადამხვია და დამაშოშმინა, ავთანდილ ღოღობერიძე იყო. წყნარად, დამაჯერებლად მესაუბრა, ამიხსნა როგორ მეთამაშა, რაში მოიკოჭლებდნენ „ზენიტის" დაცვა საერთოდ და ვოინოვი — პირადად. ჩამიყოლია საუბარში, მითხრა: შენ კი არ უნდა გეშინოდეს, ლენინგრადელებმა ინერვიულონ, თამაში რომ დაიწყებაო.

დიდი დახმარება გამიწია კაპიტნის გამხნევებამ და გამოცდილი მოთამაშის რჩევამ. მერე კიევში დამაყენეს ღოღობერიძის გვერდით. ვითამაშე, როგორც შემეძლო, ერთ მომენტში სამ მცველს შორის გავედი, მივაწოდე ბურთი ღოღობერიძეს და მან გოლი გაიტანა. წამდაუწუმ ცერა თითს მიჩვენებდა — ყოჩაღ, მიშა, ასე უნდაო!..

**სერგო კოტრიკაძე,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი**

ავთანდილ ღოღობერიძესთან პირველ შეხვედრად მე იმას ვთვლი, როცა ჯერ კიდევ ბავშვმა მინდორზე ვნახე იგი. მაშინ 35-ე სკოლაში ვსწავლობდი, ფეხბურთელობისთვის ვემზადებოდი და ყოველი მოთამაშე, რომელიც თბილისის „დინამოში" გამოდიოდა, ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო, მით უმეტეს, ღოღობერიძე — გუნდის კაპიტანი და ბრწყინვალე ფეხბურთელი.

იმ ხანებში თბილისის „დინამოში" ჩემი უფროსი ძმა ალექსანდრეც თამაშობდა და ამიტომ გარკვეული „პროტექცია" მქონდა მევლო დინამოელთა საწვრთნელ ბაზაზე, ახლო გავეცნობოდი მათ. მერე, რა თქმა უნდა, ვტრაბახობდი ამით ჩემს ტოლ-მეგობრებში.

ახლა იმაზე, თუ როგორ აღმოვჩნდი ღოღობერიძის გვერდით მინდორზე, მის პარტნიორად. 1957 წელს მომიწია პირველად თამაშმა თბილისის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში. და ისიც ვისთან — მოსკოვის „დინამოსთან"! რომ ვთქვა ვღელავდიო, ამით ვერაფერს გეტყვით. კი არ ვღელავდი, სული მეპარებოდა შიშით. მოსკოვის „დინამოში" მაშინ რიჟკინი, მამედოვი, კუზნეცოვი, ურინი, შაპოვალოვი და მათი მსგავსნი გამოდიოდნენ. რომელი დაინდობდა დებიუტანტს? პირიქით.

არ დამავიწყდება, როგორ მაიმედებდა ღოღობერიძე, სულ ჩემს გვერდით იყო, მაწყნარებდა. მერეც, როცა თამაში დაიწყო და შიშმა გამიარა, როგორც კი ჩვენი საჯარიმო მოედნის სიახლოვეს აღმოჩნდებოდა, აუცილებლად მესროდა გამამხნევებელ სიტყვას.

ავთანდილ ღოღობერიძეს ჩემთვის ფასდაუდებელი ამაგი აქვს გაწეული.

სურათზე: ავთანდილ ღოღობერიძე თავის ვაჟ თენგიზთან ერთად ერთ-ერთ საზეიმო შეხვედრაზე თბილისის აეროპორტში.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# ყინულის სარბიელზე

კრასნოგორსკის სტადიონ „ზორკის“ ყინულის სარბიელზე 21 თებერვალს ჩატარებული მატჩით დაიწყო ბურთიან ჰოკეიში VIII მსოფლიო ჩემპიონატის მეორე წრე. ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ნორვეგიის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს საბჭოთა ჰოკეისტებმა — 4:0.

ამჯერადაც გამოიჩინა თავი ხაბაროვსკის არმიელთა გუნდის წარმომადგენელმა, ნიჭიერმა თავდამსხმელმა ა. ფროლოვმა — მან ნორვეგიელთა კარში 2 ბურთი გაიტანა და 12 ბურთით ლიდერობს სნაიპერთა სიას. უნდა აღინიშნოს, რომ ფროლოვმა თავის ამ მესამე მსოფლიო ჩემპიონატის მანძილზე გადააჭარბა 38 წლის სვერდლოვსკელი ვეტერანის ნ. დურაკოვის რეკორდს: ფროლოვის აქტივშია 22 ბურთი, დურაკოვისაში კი ერთით ნაკლები. ისიც უნდა ითქვას, რომ მიმდინარე შეჯიბრება დურაკოვისთვის მეშვიდე მსოფლიო ჩემპიონატია.

მოსკოვში იმ დღეს შვეციის ნაკრებმა ანგარიშით 8:0 სძლია ფინეთის ეროვნულ გუნდს.

ტურნირს მტკიცედ ლიდერობს სსრ კავშირის ნაკრები.

• • •

7:3 — ასეთი ანგარიშით სძლია მოსკოვის „სპარტაკმა“ შაიბიან ჰოკეიში საკავშირო პირველობის მორიგ მატჩში სსრ კავშირის ჩემპიონს ცსკა-ს. ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით მოსკოვის არმიელები დიდი ხანია არ დამარცხებულან. სპარტაკელები იმ დღეს მართლაც დიდ ხოტბას იმსახურებდნენ — მრისხანე მეტოქეს ყველანაირად აჯობეს. კარგად ითამაშეს სპარტაკელი თავდამსხმელების ყველა სამეულმა და ახალგაზრდა მეკარე კრივოლაპოვმა.

21 თებერვალს მოპოვებული ამ გამარჯვებით „სპარტაკი“ სათავეში მოექცა გათამაშების ცხრილს — 45 ქულა 26 მატჩის შემდეგ. თანაც ამ გუნდმა ყველაზე მეტი ბურთი (162) გაიტანა.

ლიდერს 2 ქულით ჩამორჩებიან II ადგილზე მყოფი მოსკოველი არმიელები, რომლებიც მეოთხედ დამარცხდნენ.

ბრინჯაოს პრეტენდენტებმა წარმატებას მიაღწიეს: მოსკოვის „კრილია სოვეტოვმა“ სტუმრად სძლია (4:1) ლენინგრადის ასკ-ს, ხოლო მოსკოვის „დინამომ“ შინ აჯობა გორკის „ტორპედოს“ — 3:2. „კრილია სოვეტოვსა“ და „დინამოს“ 33-33 ქულა აქვთ, ოღონდ პირველს 25, ხოლო „დინამოს“ — 27 შეხვედრის შემდეგ.

უცხოეთის ფეხბურთის
ამბები

## ბრაზილიელები „ბრძოლის ველზე“

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ზაგალო, მწვრთნელი ფიზიკურ მომზადებაში ქიროლი, ექიმი ტოლედა და ტექნიკური კომისიის თავმჯდომარე ბასოსი, დასავლეთ გერმანიას ეწვია. დელეგაციამ დაათვალიერა სტადიონები, სადაც მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატი გაიმართება და საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობას გაეცნო.

## ორი თვით ადრე

ბევრ მიმომხილველს მიაჩნია, რომ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური შეხვედრა ამსტერდამის „აიაქსსა“ და მიუნხენის „ბაიერნს“ შორის ამ შეჯიბრების ფაქტიური ფინალია. ასე ფიქრობენ არა მარტო ამ კლუბების ხელმძღვანელები, არამედ მაყურებლებიც. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ახლა, ამ გუნდების შეხვედრებამდე კარგა ხნით ადრე, არც ერთი ბილეთი აღარ დარჩა არც მიუნხენში, არც ამსტერდამში, თუმცა ორივე ამ ქალაქს დიდი სტადიონები აქვს.

## „პენიაროლი“ გაიფიცა

ურუგვაის მრავალგზის ჩემპიონი „პენიაროლი“ გაიფიცა. მისმა კაპიტანმა მატოსასმა განაცხადა, რომ ეს გაფიცვა გაგრძელდება მანამ, სანამ გუნდის დირექტორატი მოთამაშეებს არ გადაუხდის იმ ჯილდოებს, რომლებსაც დაპირდა ბოლო სამი თვის მანძილზე.

„პენიაროლის“ გაფიცვა მით უფრო ამწვავებს ვითარებას, რომ ამ მოკლე ხანში გუნდს მოელის სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობა.

უცხოეთის
ფეხბურთის
ამბები

## მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით

გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციამ შეცვალა ეროვნული პირველობის ჩატარების ვადები. 1973-74 წლების პირველობა „ბუნდესლიგისთვის“ დაიწყება აგვისტოს დამდეგს (ასე ადრე „ბუნდესლიგას“ არასოდეს დაუწყია ტურნირი) და გაგრძელდება 1974 წლის 18 მაისამდე.

ახალი კალენდარი ნაკრების მოთამაშეებს მეტ დროს უტოვებს მსოფლიო პირველობისთვის მოსამზადებლად.

## კენჭისყრა — 23 მარტს

ჯერ არ გათამაშებულა ევროპული ტურნირების — ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უეფა-ს თასების მეოთხედფინალის შეხვედრები, ევროპის ფეხბურთის ფედერაციამ კი შორეული თადარიგი დაიჭირა: გამოცხადდა, რომ სამივე ამ ტურნირის ნახევარფინალური წყვილების კენჭისყრა გაიმართება ციურიხში 23 მარტს.

## ბაევიჩი — ახალი სნაიპერი

იუგოსლაველ მიმომხილველთა აზრით, 25 წლის დ. ბაევიჩი, რომელიც ქვეყნის № 1 ფეხბურთელად იქნა აღიარებული 1972 წლის სეზონში, ის სნაიპერია, რომელსაც ნაკრების ხელმძღვანელობა დიდი ხანია ეძებს.

ბაევიჩი 187 სმ სიმაღლისაა, 80 კგ-ს იწონის. მისი ჩარიცხვის შემდეგ ნაკრების თავდასხმის თამაში უფრო მწვავე გახდა, იმატა შედეგიანობამ.

მოსტარის „ველეჟის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა 1969 წლის ეროვნულ ჩემპიონატში 6 ბურთი გაიტანა, 1970 წელს — 9, შემდეგ უკვე 12 გოლი მოათავსა მეტოქეთა კარში, ახლა კი პირველი წრის შემდეგ, 11 ბურთით I ადგილზეა სნაიპერთა შორის.

## „კოპა ლიბერტადორეს“

სამხრეთ ამერიკის ცხრა ქვეყნის 2-2 უძლიერესი კლუბი მიიღებს მონაწილეობას ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, რომელიც „კოპა ლიბერტადორეს დე ამერიკის“ („განთავისუფლების ტურნირი“) სახელს ატარებს. ამ შეჯიბრებაში უნდა ეთამაშათ ვენესუელის წარმომადგენლებსაც, მაგრამ ისინი დასაჯეს წინა ტურნირში არასპორტული საქციელის გამო.

ხუთ ჯგუფში გამარჯვებულ გუნდებს შეჯიბრების დასკვნით ეტაპზე შეუერთდება სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი „ინდეპენდიენტე“ (არგენტინა).

გათამაშების ძირითად ფავორიტებად მიაჩნიათ „პალმეირასი“, „ბოტაფოგო“ (ბრაზილია) და „ინდეპენდიენტე“. მაღალ შეფასებას აძლევენ, აგრეთვე, ურუგვაის ჩემპიონს „ნასიონალს“, არგენტინის ჩემპიონს „სან ლორენცოს“ და „კოლო კოლოს“.

## დიდი — მრჩეველი და წინასწარმეტყველი

თურქეთის ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი ეცარი ძალიან დაუმეგობრდა „ფენერბახჩეს“ მწვრთნელს, გამოჩენილ ბრაზილიელ სპეციალისტს დიდის. თანამედროვე ფეხბურთის ჩინებული მცოდნე დიდი პირდაპირ დაუფასებელი მრჩეველია თურქეთის ნაკრების ხელმძღვანელისთვის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნეაპოლში იტალიელებთან შეხვედრის (მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩი) წინ დიდიმ ფრე იწინასწარმეტყველა და გუნდს სათანადო რჩევა-დარიგებაც მისცა. მატჩი მართლაც ფრედ დამთავრდა. რა ეუყოთ, რომ 90 წუთის მანძილზე თურქებმა მასპინძლების კარში დაარტყეს მხოლოდ... ერთხელ!

25 თებერვალს თურქები თავიანთ მინდორზე მიიღებენ იტალიელებს და დიდი კვლავინდებურად მონაწილეობს გუნდის მზადებაში.

## ევროპელთა დიდი უპირატესობა

1972 წლის მანძილზე ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ნაკრები გუნდები ერთმანეთს 27-ჯერ შეხვდნენ. მატჩების უმეტესობა (19) „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატის“ თამაშები გახლდათ. სტატისტიკოსები ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ ამ 27 მატჩში ევროპის ფეხბურთელებს თვალსაჩინო უპირატესობა ჰქონდათ: მათ მოიგეს 16 თამაში, 5 ფრედ დაამთავრეს და მხოლოდ 6 წააგეს.

ერთადერთი სამხრეთამერიკული ქვეყანა, რომელსაც დადებითი ბალანსი აქვს ევროპელებთან, არის ბრაზილია. „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატში“ ბრაზილიელებმა დაამარცხეს იუგოსლავიის, შოტლანდიისა და პორტუგალიის გუნდები.

## რამსეის ახალი აღმოჩენა

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ა. რამსეი, იმ ახალ თავდამსხმელთაგან, რომლებიც მას მსოფლიო პირველობაზე გამოსვლის პრეტენდენტებად მიაჩნია, განსაკუთრებით გამოყოფს 21 წლის ჯონ რიჩარდსს („ვულვერჰემპტონ უონდერერსი“). სულ ორი სეზონის წინ რიჩარდსი თავისი კლუბის სათადარიგო მოთამაშე იყო, მაგრამ სწრაფად მიიქცია ყურადღება და ორჯერ ითამაშა ინგლისის პირველ ნაკრებში.

საყურადღებოა, რომ რიჩარდსმა უკვე 17 გოლი გაიტანა მიმდინარე ჩემპიონატში.

## „სარაგოსის თასზე“

ეს ტრადიციული „ოთხთა ტურნირი“ გაიმართება 28-31 მაისს. მასში მონაწილეობას მიიღებენ ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“ (სოფია, ბულგარეთი), „ბორუსია“ (მენჰენგლადბახი, გფრ), ინგლისის პირველი ლიგის ერთ-ერთი გუნდი და მასპინძელი — „რეალი“ (სარაგოსა, ესპანეთი).

## დარჩა ოთხი ვეტერანი

ურუგვაის ნაკრების მწვრთნელმა ჰ. ბაგნულომ გამოაქვეყნა ნაკრების კანდიდატთა სია 1974 წლის მსოფლიო პირველობისთვის. მათ მსოფლიო პირველობის დამთავრებამდე ეკრძალებათ არა მარტო უცხოეთში გადასვლა, არამედ საერთოდ კლუბის გამოცვლაც კი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1970 წლის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთაგან ურუგვაის ნაკრებში სულ ოთხი მოთამაშე დარჩა: მატოსასი, მანეირო, კუბილა და ესპარაგო.

## დიდი შენაძენი

ფრანგ ექსპერტებს დიდ შენაძენად მიაჩნიათ ნაკრების ახლანდელი ცენტრალური მცველი მარიუს ტრეზორი. სულ ცოტა ხნის უკან ამ ზანგ სპორტსმენს ევროპაში არავინ იცნობდა, ახლა კი იგი საფრანგეთის № 1 ფეხბურთელად ითვლება.

23 წლის ტრეზორი 180 სმ სიმაღლისაა და 79 კგ-ს იწონის. იგი დაიბადა საფრანგეთის ანტილის კუნძულ გვადელუპაზე. აქვე დაიწყო თამაში „იუვენტუსში“ (სანტა-ანა), 1970-71 წლებში „აიაჩოს“ სათადარიგო ცენტრალური თავდამსხმელი გახდა, მაგრამ თავის ნამდვილ მოწოდებას მაშინ მიაგნო, როცა 1972-73 წლების სეზონში მარსელის „ოლიმპიკში“ გადავიდა და ცენტრალური მცველის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ნაკრების მწვრთნელმა ჟ. ბულონმა მყისვე მიანდო მას ეს პოსტი და არც შემცდარა.

## 24 გუნდის მონაწილეობით

აფრიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მორიგი გათამაშება იწყება 2 მარტს. მასში მონაწილეობას მიიღებს 24 გუნდი, მათ რიცხვში—თასის ახლანდელი მფლობელი „ჰაფია“ (გვინეა). ეს ტურნირი სულ უფრო მეტ პოპულარობას იმსახურებს აფრიკის ქვეყნებში.

## ბაზა მზადაა

მსოფლიო პირველობისთვის გფრ-ის ნაკრები მოემზადება შლეზვიგ-ჰოლშტაინის მხარეში მდებარე ბაზა მალენტეში. ეს ყველაზე თანამედროვე, სრულყოფილი ბაზაა დასავლეთ გერმანიაში. მწვრთნელი ჰ. შიონი 1973 წლის მანძილზე ეპიზოდურად მოუყრის თავს ნაკრების კანდიდატებს, გაისად კი გუნდის მეცადინეობას სისტემატური ხასიათი მიეცემა.

## კრივი

## 10 პრეტენდენტი

კრივის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა მსოფლიო ჩემპიონ ჯორჯ ფორმენის 10 მეტოქის „რანგლისტი“ (იერარქიული ფურცელი) ასეთი თანმიმდევრობით:

1. მუჰამედ ალი, 2. ჯიმი ელისი, 3. ჯო ფრეზიერი, 4. რონ ლილი, 5. ფლოიდ პატერსონი, 6. ოსკარ ბონავენა, 7. კენ ნორტონი, 8. გრეგორიო პერალტა, 9. ჯო გარსია, 10. ჯო ბუგნერი.

## სტივენსონი — № 1

მიუნხენის ოლიმპიური ჩემპიონი მძიმე წონის მოკრივეთა შორის, კუბელი ტ. სტივენსონი აღიარებულია ლათინური ამერიკის № 1 სპორტსმენად.

მეორე ადგილი დაეთმო ფეხბურთელ პელეს (ბრაზილია), მესამე კი არგენტინელ მოკრივე კ. მონსონს.



სურათებზე: სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის წევრები (მარცხნიდან) — მინსკელები ვ. შჩუკინი, ა. მალეევი და ერევნელი ე. მიქაელიანი, რომელთაც ბევრჯერ უსახელებიათ საბჭოთა სპორტი, ასპარეზობის დროს. საკდესის ფოტოქრონიკა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს ვეტერანი ფეხბურთელები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი თაობის წარმომადგენელი

**რომა კარპოს ძე ბოლოხოვი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 02561